3:3

დონეცკი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 6 ოქტომბერი.

“შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 3:3 (1:3).

“შახტიორი: დეგტიარევი (ჩანოვი), ვარნავსკი, ზვიაგინცევი, კონდრატოვი, პიანიხი, რუდაკოვი (ელ. მალი), როგოვსკი, სოკოლოვსკი, სტარუხინი, რედორენკო, საფონოვი.

“დინამო”: გაბელია, გ. მაჩაიძე, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, ჭილაია, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, კაკილაშვილი, ყიფიანი, შენგელია.

მსაჯი: ე. შკლოვსკი (მოსკოვი).

დუბლიორები – 3:2.

მასპინძლებს დასაწყისიდანვე ჰქონდათ საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა, მაგრამ დინამოელები კარგად იცავდნენ თავს და ყოველ შესაფერის მომენტს მაქსიმალურად იყენებდნენ საპასუხო შეტევებისთვის. სწორედ ამ კონტრიერიშების წყალობით შეძლეს მათ 3 ბურთის გატანა “შახტიორის” კარში.

მასპინძელთა პირველი იერიშების შემდეგ თბილისელებმა გაათანაბრეს თამაში, მე–17 წუთზე იერიშზე გადავიდა ქორიძე და დაბალი ბურთი გაგზავნა მეტოქის კარში – 1:0.

ათიოდე წუთის შემდეგ იმავე ქორიძემ საუკეთესოდ ითამაშა და საკმაოდ შორი მანძილიდან უძლიერესი დარტყმით გაგზავნა ბურთი მეკარე დეგტიარევის კარში – 2:0.

ტაიმის დასასრულს მასპინძლებმა შეძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა (ეს გააკეთა როგოვსკიმ), მაგრამ 42–ე წუთისთვის დინამოელები კვლავ დაწინაურდნენ: ყიფიანმა კარგად გამოიყენა კაკილაშვილის ზუსტი გადაცემა – 3:1.

შესვენების შემდეგ დონეცკელები მთელი მონდომებით თამაშობდნენ. 77–ე წუთზე მეორე გოლი გაქვითა სტარუხინმა, ხოლო მსაჯის საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე ანგარიში გაათანაბრა ფედორენკომ – 3:3.

“ლელო”, 9 ოქტომბერი, 1979 წ.